



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის
სამინისტრო
**MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF
GEORGIA**



KA060110888250216

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. №6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

6525

10 / აგვისტო / 2016 წ.

„მწვანე ალტერნატივა“-ს აღმასრულებელ
დირექტორს ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიმდინარე წლის 28 ივლისს შემოსული #04/02-221 წერილის პასუხად გაცნობებთ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. კერძოდ:

შპს „ქართული ცემენტი“-ზე გაცემულია წიაღით სარგებლობის №0652 და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №00370 ლიცენზიები.

შპს „კარიერ ჰოლდინგი“-ზე გაცემულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №1001353 ლიცენზია.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 30 ოქტომბრის DES №6 15 0000451 ბრძანების საფუძველზე შემოწმდა №1001353 ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობა. შედგენილია შესაბამისი საველე აქტი და შემოწმების შესახებ ინსპექტირების აქტი №000072.

შპს „თერჯოლა-კარიერი“-ზე გაცემულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №1001352 ლიცენზია.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 21 ოქტომბრის DES №1 15 0000434 ბრძანების საფუძველზე შემოწმდა №1001352 ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობა. შედგენილია შესაბამისი საველე აქტი და შემოწმების შესახებ ინსპექტირების აქტი №000071.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ზე გაცემულია წიაღით სარგებლობის №№0397; 0398; და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების 1000440, №1000791, 1000792; 1000793, №1000794, №1000795, 1002917 და 1003030 ლიცენზიები.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 19 ნოემბრის DES №4 15 0000477 ბრძანების საფუძველზე შემოწმდა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის

მოპოვების №1000794 ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობა. შედგენილია შესაბამისი სავლე აქტი და შემოწმების შესახებ ინსპექტირების აქტი №000077.

აქვე გაცნობებთ, რომ 2013 წლიდან დღემდე მითითებული ლიცენზიანტების მიმართ არ შემდგარა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები.

ამასთან, გეგზავნებთ ლიცენზიის მფლობელების მიერ წარმოდგენილი 2013, 2014 და 2015 წლების სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშები (ასევე უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების ფორმა 1-01).

აქვე წარმოგიდგენთ ჩვენ ხელთ არსებულ მასალებს და გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა. აღნიშნულიდან გამომდინარე წერილის თანდართულ დოკუმენტაციაში დაფარულია (გადაშტრიხულია) პერსონალური მონაცემები.

ასევე გაცნობებთ, რომ „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად წარმოდგენილ მასალებში დაფარულია ინფორმაცია წიაღის გეოლოგიური აგებულების, წიაღისეულის მარაგებისა და რესურსების, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობების და სხვა თვისებების და პარამეტრების შესახებ.

დანართი 1 კომპაქტური დისკი.

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის
უფროსი (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი)



ეკატერინე ბენდელიანი